თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 27 იანვრის სხდომის ოქმი № 1

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022 წლის 27 იანვარს შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს დისტანციური სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 39 წევრი

სხდომას ესწრებოდა 24 ხმის უფლების მქონე წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET), საბაკალავრო პროგრამა ეკონომიკაში სწავლის საფასურის გაზრდის შესახებ
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

2. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში სილაბუსის ავტორის ცვლილების და ლიტერატურის განახლების შესახებ
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ანგარიშის შესახებ
   /დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ
   /დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.
გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 27 იანვრის №1 სხდომის დღის წესრიგი:

1. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET), საბაკალავრო პროგრამა ეკონომიკაში სწავლის საფასურის გაზრდის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

2. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში სილაბუსის ავტორის ცვლილების და ლიტერატურის განახლების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ანგარიშის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET), საბაკალავრო პროგრამა ეკონომიკაში სწავლის საფასურის გაზრდის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

პროფესორმა ლ.საბაურმა საბჭოს გააცნო ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET),დირექტორის თ.სხულუხიას წერილი, რომლითაც ის ითხოვს, ეცნობოს ფაკულტეტის საბჭოს ინფორმაცია, საბაკალავრო პროგრამა ეკონომიკაში სწავლის საფასურის პოტენციური ცვლილების შესახებ.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში სილაბუსის ავტორის ცვლილების და ლიტერატურის განახლების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ლ.საბაური/

პროფესორმა ლ.საბაურმა საბჭოს მოახსენა „ტურიზმი“-ს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსის - „კულტურული ტურიზმი“ ცვლილების შესახებ, რაც გამოწვეულია მოქმედი სილაბუსის ავტორის გარდაცვალებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ დამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 24

წინააღმდეგი : 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, „ტურიზმი“-ს საბაკალავრო პროგრამის, სასწავლო კურსის სილაბუსის- „კულტურული ტურიზმი“ განსახორციელებელი ცვლილები.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ანგარიშის შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

დეკანის მოადგილემ ასოცირებულმა პროფესორმა მ. ჩავლეიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის 2021 წლის თვითშეფასების ანგარიში (ანგარიში დაგზავნილი იყო ფაკულტეტის საბჭოს წევრებისთვის). მან აღნიშნა, რომ მიუხედავად რთული წლისა, ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი გამოირჩეოდა შესაბამისი ნაყოფიერებით სასწავლო, სამეცნიერო და სხვა დამატებითი საქმიანობით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადმიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების 2021 კალენდარული წლის ანგარიში.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი, მ. ლობჟანიძე/

ასოცირებულმა პროფესორმა, მ. ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ ინფორმაცია:

1. დიმიტრი ფირცხალაიშვილი - „მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმების მაკროეკონომიკური ეფექტი საქართველოში“

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასისტენტ- პროფესორი მარინა ტაბატაძე
2. ნინო დოხტურიშვილი - ,,კახეთის რეგიონის დემოგრაფიული პროცესების სტატისტიკური კვლევა"

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი მერაბ ხმალაძე
3. დავით გავარდაშვილი - „ორგანიზაციული ცვლილებების მენეჯმენტი ქართულ კომპანიებში“

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მანანა ხარხელი
4. გიორგი მჟავანაძე - ,,თამბაქოს მოხმარების კონტროლის პოლიტიკის ზეგავლენა სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობასა და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე საქართველოში“ მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინა ნაცვალაძე
5. სალომე დეისაძე - "სურსათზე მოთხოვნის გავლენა სასურსათო პოლიტიკის ფორმირებაზე საქართველოში"

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინა ნაცვალაძე

აზრი გამოთქვეს : პროფესორებმა, მ.ტუხაშვილმა,ი.ანანიაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემები და მეცნიერ-ხელმძღვანელები:

1. დიმიტრი ფირცხალაიშვილი - „მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმების მაკროეკონომიკური ეფექტი საქართველოში“

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასისტენტ- პროფესორი მარინა ტაბატაძე
2. ნინო დოხტურიშვილი - ,,კახეთის რეგიონის დემოგრაფიული პროცესების სტატისტიკური კვლევა"

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი მერაბ ხმალაძე
3. დავით გავარდაშვილი - „ორგანიზაციული ცვლილებების მენეჯმენტი ქართულ კომპანიებში“

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მანანა ხარხელი
4. გიორგი მჟავანაძე - ,,თამბაქოს მოხმარების კონტროლის პოლიტიკის ზეგავლენა სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობასა და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე საქართველოში“ მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინა ნაცვალაძე
5. სალომე დეისაძე - "სურსათზე მოთხოვნის გავლენა სასურსათო პოლიტიკის ფორმირებაზე საქართველოში"

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინა ნაცვალაძე

მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ასოცირებული პროფესორის ნატალია ხარაძის ინფორმაცია:

მან აღნიშნა რომ, აკრედიტაციის საბჭოს სხდომა , რომელიც დანიშნული იყო 15 საათზე, (მენეჯმენტის ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამის დამტკიცება) დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო მე - 3 საკითხად, ყოველგვარი ინფორმირებულების გარეშე გადაიტანეს მე-5 საკითხად და სხდომა დაიწყო 2 საათსა და 11 წუთზე. 10 საათი ამყოფეს მოლოდინის რეჟიმში. ამის გამო, როგორც ნატალია ხარაძემ აღნიშნა, ბოდიშის მოხდით გამოთქვა საყვედური და განაცხადა, რომ როგორ ვერ მოახერხეს მენეჯმენტის სპეციალისტებმა, სხდომის იმგვარად დაგეგმვა, რომ პროფესორმა 2 საათით ადრე მაინც იცოდეს ინფორმაცია ამის შესახებ. ეს არ იყო მათი მხრიდან პირველი შემთხვევა, როცა ასე უღირსად და უპატივცემულოდ ექცევიან პროფესორებს.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა: ა. სილაგაძემ, ე.ხარაიშვილმა, ლ.საბაურმა

პროფესორმა ა.სილაგაძემ აღნიშნა, რომ შესაბამის სამსახურში მიზანშეწონილია ,რომ მონაწილეებმა წინასწარ იცოდნენ საკითხის განხილვის კონკრეტული დრო. როგორც ჩანს ამ შემთხვევაში ასე არ მოხდა. ბუნებრივია, ეს იწვევს საკითხის განხილვაში მონაწილე კოლეგების უკმაყოფილებას. თუ უნივერსიტეტს ამ საკითხზე მსჯელობა

მოუწევს, საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობას მივიღებ როგორც ფაკულტეტის ასევე აკადემიური საბჭოს ფორმატში. ასევე იმედს გამოვთქვამ მომავალში აკრედიტაციის ახალი საბჭო დაკომპლექტდება მაღალკვალიფიციური კადრებით.

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა რომ ასეთი შემთხვევები ხშირად ხდებოდა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე.

პროფესორმა ლევან საბაურმა მიულოცა საბჭოს წევრებს პროგრამის აკრედიტაცია და დაადასტურა რომ გადაწყვეტილების მიღების დროს დარღვეულ იქნა რეგლამენტი. მან გამოთქვა აზრი, რომ კარგი იქნება თუ აკრადიტაციის საბჭოს წევრების შერჩევისას არსებულ კრიტერიუმებს დაემატება სხვა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმები.

დაადგინეს: ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი,

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი გ.ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მ.მაისურაძე